

იემენის სამოქალაქო ომი და რელიგიური ფაქტორი ლოკალურ ომებში

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ომარი ნიშნაიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე პოლიტიკის მეცნიერების
საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნის შესაბამისად.*

პოლიტიკის მეცნიერება - საერთაშორისო ურთიერთობები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი გიორგი სანიკიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ ისეთ მასალას, რომელიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ომარი ნიშნიანიძე

18/06/2018

სარჩევი

აბსტრაქტი.....	4
შესავალი	8
საკითხის აქტუალურობა	8
კონცეპტები.....	11
კვლევის კითხვები	12
თეორიული ჩარჩო	13
ლიტერატურის მიმოხილვა	16
კონფლიქტის გამომწვევი მიზეზები.....	18
იემენის ისტორია და საზოგადოების სტრუქტურა.....	20
სალაფიტური მოძრაობა და მათი დაპირისპირება შიიტურ ისლამთან	24
ირანის ისლამური რესპუბლიკის რელიგიური პოლიტიკა	25
იემენის სამოქალაქო ომი და ჰუსიტების აჯანყება	28
საულის არაბეთისა და აშშ-ის ინტერესები იემენის სამოქალაქო ომში	38
პრეზიდენტი სალექი და მისი პოზიცია	41
რელიგიურ-კონფესიური ფაქტორი იემენის სამოქალაქო ომში	42
იემენის სამოქალაქო ომი - რეგიონალური კონფლიქტი	49
შედარებითი ქეის სთადი	50
ჯაფარიტული, ალავიტური და ჰუსიტური ისლამის თეოლოგიური შედარება.....	50
ირანისა და ასადის რეჟიმის ურთიერთობა	53
კონფესიები და მათი რიტორიკა და დამოკიდებულება სხვა ჯგუფებთან - კონფლიქტამდე და მის შემდეგ.....	58
დასკვნები.....	62
ბიბლიოგრაფია.....	66

აბსტრაქტი

იემენში მიმდინარე სამოქალაქო ომმა სახელმწიფო ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთ ყველაზე ცხელ წერტილად აქცია. კონფლიქტში ჩართულია ორზე მეტი მხარე, რომლებსაც, თავის მხრივ, გარე პოლიტიკური აქტორები უმაგრებენ ზურგს. იემენის სამოქალაქო ომი, თავისი არსით, წარმოადგენს ფროქსების ომს, რომელშიც ახლო აღმოსავლეთის ორი პოლუსი და მსოფლიოს ორი ყველაზე თეოკრატიული სახელმწიფო - საუდის არაბეთი და ირანი საკუთარი მიზნების მისაღწევად ადგილობრივ ძალებს იყენებენ. ახლო აღმოსავლეთის რეგიონის სპეციფიკიდან გამომდინარე, რელიგიურ-კონფესიური ფაქტორი სამოქალაქო დაპირისპირების წინა პლანზე გვევლინება. ნაშრომი მიზნად ისახავს განსაზღვროს რელიგიურ-კონფესიური ფაქტორის ზეგავლენა ფროქსი ძალასა და გარე პოლიტიკურ აქტორს შორის არსებულ ალიანსებზე.

ქეის სთადისა და შედარებითი ქეის სთადის მეთოდით განხილულია რელიგიური და პოლიტიკური ფაქტორების ურთიერთზეგავლენა და მიზეზ-შედეგობრივი კავშირი. იემენის სამოქალაქო ომში პოლიტიკური კავშირები ჰუსიტებსა და ირანს შორის და პრეზიდენტ ჰადის ძალებსა და საუდის არაბეთს შორის ჩამოყალიბებულია რაციონალური და რეალისტური მოცემულობებიდან გამომდინარე. კონფესიური თანხვედრა მხოლოდ და მხოლოდ ამყარებს ალიანსებს და არ წარმოადგენს მათი შექმნის მიზეზს. იემენის უახლოეს ისტორიაში ადგილობრივი მხარეებისა და გარე ძალების პოლიტიკური კავშირები რიგ შემთხვევებში უგულვებელჰყოფდა მხარეებს შორის არსებულ რელიგიურ შეუთავსებლობას.

სირიისა და იემენის სამოქალაქო ომის შედარებითი ქეის სთადი კიდევ უფრო ამყარებს ჰიპოთეზას ფროქსი და გარე ძალის პოლიტიკური კავშირების რაციონალურობის შესახებ. ჰუსიტებისა და ალავიტების თეოლოგიური საკითხები, დოგმები და რწმენა-წარმოდგენები ნაკლებად მოდის თანხვედრაში მათი მოკავშირე

ირანის ჯაფარიტულ სკოლასთან. შესაბამისად, ე.წ. შიიტური რელიგიური ალიანსი, ღერძი მხოლოდ ნომინალურადაა კონფესიური ხასიათის. ჰუსიტებისა და ალავიტების ომამდელი და ომის შემდგომი რელიგიური რიტორიკა და სხვა კონფესიებისადმი დამოკიდებულება მკვეთრად შეიცვალა პოლიტიკური გარემოებებიდან გამომდინარე. ყოველივე ეს ცხადჰყოფს, რომ რელიგიისა და პოლიტიკის მიზეზშედეგობრივი ურთიერთკავშირი ვერტიკალურია. პოლიტიკა, ერთმნშივნელოვნად, არის გარდაუვალი ცვლადი, ხოლო რელიგია გარდამავალი.

საკვანძო სიტყვები: მარიონეტული ომი, ფროქსი ძალების ომი, რელიგიური ომი, რელიგიური და პოლიტიკური საკითხების მიზეზ-შედეგობრივი კავშირი, იემენის სამოქალაქო ომი, ახლო აღმოსავლეთი, ირანის საგარეო პოლიტიკა.

Abstract

The ongoing civil war in Yemen has already turned the country into one of the most dreadful battlegrounds in the Middle East. The conflict involves more than two factions that in turn are backed and supported by the certain external actors. The civil war in Yemen is virtually a proxy war, in which two biggest powers of the Middle East that in fact are two most theocratic countries in the world try to achieve their political goals by their proxy powers. Accepting the specifics of the Middle East region, the religious-confessional factors are often perceived to be located in the core of civil confrontation. The present research aims to assess the importance and the influence of religion in constructing political alliances among the power and its proxies.

The present work implements case study and comparative case study methodology to examine and analyze nexus and causality of religious and political determinants. The political ties and alliances which are constructed in the Yemeni civil war are based on rational and realistic motives, thus they are not idealistic constructs. Iran's alliance with Houthis and Saudi Arabia's alliance with president Hadi's party have not been established for religious goals. Sharing the same religious identity can only strengthen existing bonds, however can't create one. On top of that, political unity of external powers and their proxies have proven to be fragile throughout Yemen's modern history. Often, these alliances ignored the religious disputes of their allies.

The comparative case study of Syrian and Yemeni civil wars has further cemented the hypothesis regarding the rational nature of political allies and proxies. The dogmas, beliefs and practice of Houthis and Alawites are far from similar to their ally's ones. Iran's Ja'fari school of Shia Islam is theologically dissimilar to religion practiced by Houthis and Alawites. Therefore, so called Shia block headed by Iran is only nominally Shia. Proxy power's religious rhetoric and attitude towards other confessions has been dramatically changed after the outbreak of above-mentioned civil wars. We can safely assume that the causal relationship

between religions and politics is, unambiguously, vertical, whereas politics is independent variable, while religion is dependent.

Key words: Proxy wars, Religious wars, Causal relationship between religions and politic, the Civil war in Yemen, the Middle East, Iran's foreign policy.